

საჯარო სამართლის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №225/ნ

2011 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

საჯარო სამართლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ზოგადი განათლების შესახებ, საჯარო სამართლის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საჯარო სამართლის კანონის (20.12.2011წ., №5511) მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და „ზოგადი განათლების შესახებ“ საჯარო სამართლის კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვძრძანებ:

1. 2012 წლის 1 იანვრამდე განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაცია.

2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დებულება ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 30 იანვრის №44 ბრძანება.

4. ეს ბრძანება, გარდა მე-2 და მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.

დ. შაშვინი

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც იქმნება საჯარო სამართლის განათლების სისტემაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით.

2. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საჯარო სამართლის კონსტიტუციით, საჯარო სამართლის საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საჯარო სამართლის კანონებით, საჯარო სამართლის პრეზიდენტის, საჯარო სამართლის მთავრობისა და საჯარო სამართლის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) სამართლებრივი აქტებით, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

3. სააგენტო ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საჯარო სამართლის კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში და წესით.

4. სააგენტო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩევედ და მოპასუხედ.

5. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი საჯარო სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და ქართულ-ინგლისური წარწერით და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტებით.

6. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 შენობა-ნაგებობა №1.

საჯარო სამართლის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის ბრძანება №01/ნ - ვებგვერდი, 22.01.2019წ.

მუხლი 2. სააგენტოს მიზნები და ამოცანები

1. სააგენტოს მიზანია სამინისტროს, სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების, ასევე მინისტრის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული ტერიტორიული ორგანოებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეაბილიტაცია, მშენებლობა, სახელმძღვანელოებით, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სააგენტო უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს ინფრასტრუქტირის განვითარების ყოველწლიური სამოქმედო პროცესების მიზნით;



დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს და უზრუნველყოს ამ გეგმის განხორციელება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში;

გ) უზრუნველყოს სამშენებლო და სარეაბილიტაციო ობიექტებზე ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში სათანადო მომსახურების შესყიდვა და განახორციელოს შესაბამისი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

დ) კონკრეტული საკითხების შესწავლის მიზნით შექმნას საექსპერტო ჯგუფები;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვოს ინფორმაცია საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებიდან;

ვ) განათლებისა და მეცნიერების ინფრასტრუქტურის ინსტიტუციური მოწყობის შესახებ სამინისტროსათვის მოამზადოს წინადადებები და განახორციელოს პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ზ) შესრულოს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ცალკეული დავალებები;

თ) განახორციელოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა უფლებამოსილებები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 18 აპრილის ბრძანება №67/ნ - ვებგვერდი, 19.04.2017წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის ბრძანება №01/ნ - ვებგვერდი, 22.01.2019წ.

მუხლი 3. სააგენტოს მართვა

1. სააგენტოს მიმდინარე საქმიანობას წარმართავს სააგენტოს დირექტორი. სააგენტოს დირექტორს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. სააგენტოს დირექტორი ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე.

3. სააგენტოს დირექტორს ჰყავს პირველი მოადგილე და ორი მოადგილე, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სააგენტოს დირექტორი. პირველი მოადგილისა და მოადგილეების კომპეტენცია განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. სააგენტოს დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – ერთ-ერთი მოადგილე. მოადგილეების არყოფნის შემთხვევაში – სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სააგენტოს ერთ-ერთი თანამშრომელი.

5. სააგენტოს დირექტორი:

ა) მოქმედი კანონმდებლობის, ამ დებულების და მინისტრის მიერ დამტკიცებული ინფრასტრუქტურის განვითარების ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად უძღვება სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობას;

ბ) შეიმუშავებს და მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ინფრასტრუქტურის განვითარების ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას;

გ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტოს ბიუჯეტს;

დ) წარმოადგენს სააგენტოს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მესამე პირებთან ურთიერთობისას და ცალკეულ შემთხვევებში განსაზღვრავს მესამე პირებთან სააგენტოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს. ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს;

ვ) განკარგავს სააგენტოს თანხებს სააგენტოს ბიუჯეტის შესაბამისად;

ვ¹) სააგენტოს თანამშრომელთა მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს. უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს თანამშრომლებზე გასცეს სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო;

ზ) პერსონალურად აგებს პასუხს სააგენტოს საკუთრებაში არსებული ქონებისა და ფულადი სახსრების მიზნობრივ და რაციონალურ გამოყენებაზე;

თ) უზრუნველყოფს მინისტრის და/ან დონორი ორგანიზაციის მოთხოვნით ერთჯერადი ანგარიშებისა და სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარდგენას;

ი) სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს სააგენტოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

კ) უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტები, ხელშეკრულების საფუძველზე, კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად;

ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს;

მ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აცხადებს კონკურსებს.

ნ) ახორციელებს სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

ო) უფლებამოსილია სააგენტოში დასაქმებულ პირზე მოახდინოს თავისი უფლებამოსილების დელეგირება.



3) უფლებამოსილია, სააგენტოს აქტივობების ეფუქტიანი განხორციელების მიზნით, შექმნას კომისიები, საბჭოები, საკონსულტაციო/სარეკომენდაციო ჯგუფები.

6. სააგენტოს სტრუქტურას და საშტატო განრიგს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 აპრილის ბრძანება № 45 /ნ - ვებგვერდი, 05.04.2013წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 იანვრის ბრძანება №10/ნ - ვებგვერდი, 23.01.2014წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 4 თებერვლის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 09.02.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 7 თებერვლის ბრძანება №20/ნ - ვებგვერდი, 08.02.2017წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №150/ნ - ვებგვერდი, 31.08.2017წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის ბრძანება №01/ნ - ვებგვერდი, 22.01.2019წ.

მუხლი 4. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს.

2. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს მისი საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია.

4. სააგენტომ სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, სააგენტოს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) ს ხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

6. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უარი ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სააგენტოს უფლება აქვს მისთვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს, გაასხვისოს მისთვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 5. სააგენტოს დაფინანსება, ანგარიშგება და ქონება

1. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) საქართველოსა და უცხოეთის არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებისგან, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო პროექტებიდან მიღებული შემოსავლები;

გ) ფიზიკურ და იურიდიულ პირთაგან მიღებული შემოწირულობა, გრანტებით მიღებული შემოსავლები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წყაროები.

2. სააგენტოს სახსრები და მიღებული შემოსავლები სრულად ხმარდება სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

3. სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

4. სააგენტოს წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

5. ამ დებულებით დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სააგენტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სააგენტოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სააგენტოს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

